

ଓଦିଆ ପାତ୍ର ଓ ପାତ୍ରାଳୀ

୭୩୮ ଅନୁଷ୍ଠାନିକ ପାତ୍ରାଳୀ



ରେଣ୍ଜିମେଣ୍ଟ୍ସ ଇନ୍ଡିପନ୍ଦରିଶ୍ଯ ପାତ୍ରାଳୀ

ଦ୍ୱାରା ମହାନାଥ ମିଚେଲ

୧୯୨୯



ტ ა ბ ლ გ რ ა ფ ი ა .

რა არის ტოპოგრაფია?

სამხედრო ტოპოგრაფია ერთი უმნიშვნელოვანების საგან-
თაგანია სამხედრო მეცნიერებაში. ის გვასწავლის თუ როგორ
უნდა მოვიხმაროთ ჩუქები: ურომლისოდ ნაბიჯის გადად-
გმაც წარმოუდგენელია თანამედროვე ომებში. ისტორიიდგან
არა ერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება საღაც ზედაპირის
ფორმის უკოდინარობის გამო სარდალს პირდაპირ გასაკვი-
რელი შეცდომები ჩაუდენია თავის მოქმედებებში. ბურებ-
თან ომში ერთი ასეთი შემთხვევის ბრალი იყო რომ ქალ. ლა-
დისმუტის ალებას ინგლისელები მოუნდნენ თითქმის ერთ
თვეს და მრავალი ხალხიც შევკლეს, მაშინ როდესაც შეიძლე-
ბოდა ეს ერთი დღის ბრძოლათ დასკადომოდათ, რომ მთელი
ყურადღება შესაფერისი მიმართულებით მიექციათ. მაგრამ
რალა სარდალი, უბრალო ნაცვალსაც არა ერთხელ შეხვდება
მრავალი დავალების შესრულება მისთვის სრულიათ უპნობ
სივრცეში და აქ მისი მატარებელი და გზაკვალის მაჩვენებე-
ლი მჩოლოთ რუქაა.

რა არის რუქა?

რუქა სურათია ამა თუ იმ ნაკვეთის, გადალებული პი-
რობითი ნიშნების საშუალებით. და მისი მოხმარება ამ ნიშ-
ნების აუცილებლივ ცოდნას საჭიროებს. წინააღმდეგ შემ-
თხვევაში ის ჩენენთვის იქნება ჩინური ახბანიერი მიუღწეველი
აიდუმლოება.

რომ დედამიწა მთელი თავისი დაფარულობით გადაეხა-
ტათ იმავე სითითის ქალალზე, რაც მას სინამდვილეში უკა-
ვია, ჯერ ერთი, ეს მეტათ ძვირი დაუდებოდა და არც არაეკი-
თარი აზრი ექნებოდა. ჩუქის ლირსება სწორეთ იმაშია, რომ
ერთი თვალის მოყვრით პერდავთ მთელ იმ სივრცეს რომლის
დასათვალიერებლათ წლებიც არ გეყოფოდათ. აქ თვით საგა-
ნთა სიღიცეები და მათ შორის მანძილი დაპატარაებულია;
მაგრამ ისეთივე შეფარდებით როგორც ეს სინამდვილეშია,
მაგალითათ, თუ პარიზი სინამდვილეში ხუთჯერ ვარშევანედ
დიდია. რუქაშედაც იგივე შეთანაბრებაა ღაცული. თუ მა-
ნძილი თბილისა და ყარს, და თბილისა და ქუთაისს შორის

პირდაპირი ხაზით თანაბარია—რუქაზედაც თანაბარია. არ შეიძლება, მაგალითათ, ეკროპის რუქა დაპიროვანი და აღმანეთი და საფრანგეთი ერთი სიღიღისა გამოაჩინო.

რა არის მაშტაბი და მისი მოხმარება?

ეს შეფარდება ყველა რუქაზეც არამც თუ შენარჩუნებულია არამედ ალიშვილიც არის შესაფერისი ნიშნით. ეს ნიშანი მოთავსებულია სოლმე, ჩვეულებრივათ, რუქის დაბლა და გამოიყურება ორნაირათ: ან როგორც ორი რიცხვი რომელთაგან პირველი ყოველთვის ერთია, მეორე კი, რაიმე რიცხვი ნოლებით. ანდა როგორც სწორე ხაზი დაყოფილი თანაბარ ნაწილებათ რომლებსაც თან ახლავს შესაფერისი რიცხვები. 1: 10.000. (№ 1).

პირველს ეწოდება რიცხვითი მაშტაბი, მეორეს ხაზგვარი. ეხლა რას გვევინებიან ეს ნიშნები? პირველი გვეუმნება რომ: ყოველი ერთი ზომა ქალალდის, და რადგან ქალალდს პირმავენ სანტიმეტრობით, მაშ ყოველი სანტიმეტრი ქალალდის უდის 10.000 იმავე ოდნობის ზომას ე. ი. 10.000 ცენტიმეტრს. მაშ ეხლა თუ ხელო გვაქვს რუქა რომელსაც დაბლა უწერია: მაშტაბი=1: 10.000. შეგვიძლიან მისი საშუალებით გამოიყოცნოთ ნამდვილი სიღიღი საგანთა და ნამდვილი მანძილები მათ შორის. ამისთვის უნდა ჯერ გავზომოთ, თუ ქალალდზეც რამდენი სანტიმეტრია მათ შორის, და ეხლა რადგან ვიცით, რომ ყოველი ერთი სანტიმეტრი ქალალდის უდის 10.000 სანტ. სინამდვილეში. მიღებული რიცხვი უნდა გავამრავლოთ 10.000-ზედ და მიეიღებთ მანძილს მათ შორის.

მაგალითათ, წერტილ ას-დან ბა-მდის ამ მაშტაბით სინამდვილეში იქნება 35.000 სანტიმეტრი ანუ 350 მეტრი რადგან 3 ნახ. სანტ. \times 10.000=35.000 სანტ.

მეორე მაშტაბით უფრო ადეილია მანძილის გამოანგარიშება. უნდა აიღოთ და ძაფით განიმოთ მანძილი რუქაზეც და შემდევ ეს ძაფი დააღოთ ხაზგვარ მაშტაბს ერთი ბოლოთი ნოლს და მეორეთი სადაც გასწვდეს. მაშინ მეორე ბოლოსთან მყოფი რიცხვი უდრის მანძილს სინამდვილეში.

მაშტაბი შეიძლება იყოს დიდი და პატარა იმისდა მიხედვით თუ ქალალდის 1 სანტიმეტრი უდრის ნაკლებ თუ მეტ ზომას სინამდვილეში. თუ ის უდრის ნაკლებ ზომას მაშინ ვამბობთ მაშტაბი დიდია და ნახატი დაწვრილებითია. თუ წინაუმოთ უდრის პატარა ზომას გამბობთ: მაშტაბი პატარა და

ისეთი დაწვრილებითი აღარ არის. მაგალითად მაშტაბი 1:50 უფრო დიდია ვიდრე 1:100.000-მდის. ვინაიდგან, პირველ შემთხვევაში ერთი სანტიმეტრი ქალალდის უდრის მხოლოდ 50 სანტ. სინამდვილეში, ისე რომ მეტი დაწვრილებით იქნება ნახატი. მეორეში კი 1 სანტიმეტრი უდრის 100.000-სს და ისეთი დაწვრილებითი აღარ არის. მსოფლიოს, ან და სახელმწიფოს რუქები გადაღებულია პატარა მაშტაბით რადგან შედარებით პატარა ქალალდებზეა დახატული, ერთი მაშტაბით და ქალაქი დახატულია უფრო დიდ მასშტაბში და. მიუხედავათ თავისი სიპატარეებისა სინამდვილეში, ქალალდზედ შეიძლება იმოდენავე იყოს რაც მსოფლიოს რუქა სხვა მაშტაბში. იმისდა მიხედვით, თუ რაზომის მაშტაბია ნახმარი—რუქები იყოფიან სამ გვარათ.

რა განსხვავებაა რუქას, გეგმას და ნახაზს შორის?

- 1) ნახაზი, რომლის მაშტაბია აღწევეს 1:15.000 (1 სან.=150 მეტრს)
- 2) გეგმა " " 1:25.000 (1 " 250 ")
- 3) რუქა " " 1:25.000 მალლა.

ი ჭ რ გ ი ც ს ე ბ ი.

დედამიწის ზედაპირი თავის მოყვანილობით შეიძლება იყოს: ვაკე, გორაკიანი, სადაც სიმაღლეები აღწევენ 200 მეტრამდის ზღვის დონიდან, და მთიანი. რუქაზედ კველაფერი ეს უნდა იყოს აღნიშნული აღვილათ წასაკითხი ნიშნებით, რომ პირველი შეხედვითვე თვალწინ ნამდვილი სურათი წარმოგვიღეს. რომ ვხედავთეთ, თუ სად არის მწვერვალი, სად ქედები, სად ფერდო სად წევები სად ვაკე და სხვა. რუქებზედ ამისთვის ნახმარია, ორგვარი საშუალება. ერთი იზოგისების სასაშუალებით და მეორე შტრიჩებით. სამშეღრო რუქებში ბოლო დროს უფრო გავრცელებულია პირველი გვარის, გავარჩიოთ რაში მდგომარეობს.

წარმოიდგინეთ რომ ერთი მეორეზედ მოზრდილი რგოლები აღავით ერთი მეორეში ჩადებული როგორც ეს № 2 სურათზეა თანაც ეს რგოლები ერთ მეორეზე მიბმულია თანაბარი სიგრძის ძაფებით.

ესლა ადგენით და ასწიეთ სულ პატარა რგოლი. მაშინ რადგან მასზედ მიბმულია სხვები, ისინიც თან აპყვებიან და დაეკიდებიან ერთიმეორეზედ თანაბარ მანძილზედ. ისე რომ თუ გვერდიდგან შევხედეთ ისე დავინახავთ, როგორც ეს № 3.

წარმოვიდგინოთ «გარმონი» № 4. როდესაც ის საღმე კუთხეში მიგდებულია და არ უკრავენ ასე გამოიყურება. რომ

აილა და გასჭიმოვ ვიდრემდისაც კვეს შესაძლებელია გაიწევა იმ სიგრძეზე, რამდენსაც შეიცავს ყველა ნაოჭების შეერთებული სივრცე (№ 5) მაგალითათ თუ აქვს 30 ნაოჭი და თითო ნაოჭი იჭიმება 4 სანტიმეტრზედ მთლათ გაიწევა 120 სანტიმეტრამდე, ისე რომ მყიდველი და გამოცდილი მემუსიკე თვალთა-თვალაც შეატყობის ამას. დასთვლის ნაოჭებს და შემდეგ წარმოიდგენს მის სიგრძეს. ამ ორი მაგალითის მსგავსი მეთოდია ნახმარი მთების ხატვაში იზოგოვსების საშუალებით.

რომ მთა თანაბარ შუალედების დაშორებით გაპკვეთოთ წარმოდგენილი სივრცით (№ 6), როგორც ხმლით, და თანდათანობით ეს ანაკვეთი მოაცალოთ და ზევიდგან შეპხედოთ მიიღებთ მომრგვალო სიბრტყეებს რომლებიც მწვერვალზედ პატარეებია, და შემდეგ, რაც მთის ძირსა და ძირზედ ჰყევთავთ, დიდებითან. რომ თქვენ აიღოთ და მოლოოთ ამ წრეების მოხსენულობა მოათავსოთ ქალადზედ კვერცხის მაგვარი ხაწებით, და თქვენ თუ იცით სიბრტყეები რა დაშორებით გაატარეთ, ე. ი. თუ იცით ერთი კვერცხი მეორიდგან რა სიშორებენა—შევიძლიათ აზროვნებით თითქოს ისევე ასწიოთ, როგორც გადაბმული რგოლები (№ 3), და სულ პატარა მოგცემს მწვერვალს, სულ დიდი კი-ძირს.

მაში, იზოგიფსების საშუალებით შევვიძლია არა მარტო სიმალის, არამედ ფორმის გამოცნობაც. მაგალითათ სურათი (№ 7). გვაქვს: მწვერვალი, ქედი და ლელუ. და თუ ვიცით, რომ კვეთის მანძილი, ე. ი. შუალედი იზოგიფსთ შორის უდრის 4 საეკნეს და კვეთა-კი სამია—მაშინ მთა იქნება— $4 \times 3 = 12$ საეკნეს სიმალის.

სიმალეების გაშომვა რუქაზეც.

რუქაზეც იზოგისებთან აქა იქა აწერის ხოლმე რიცხვები (მაგ. ი. ს. სურ. № 7. წერტილი ა), რომლებიც ნიშნავენ. თუ ამ ალაგას იზოგიფსი რა სიმალისაა ზღვის დონესთან შედარებით, ისე რომ თუ გვინდა გამოვიცნოთ სხვა რომელიმე პუნქტის სიმალლე. ჯერ უნდა ვიპოვოთ ახლო მახლო ეს რიცხვები—ანი იზოგიპსი, შემდეგ უნდა ვნახოთ იმის მაღლა ვართ თუ დაბლა, ან რამდენი კვეთის მანძილით (შუალედით), მაშინ კვეთის მანძილის ოდენობა უნდა გავამრავლოთ შუალედთა რიცხვებით და მიღებული რიცხვი მივუმატოთ ან გამოვაკლოთ ცნობილ რიცხვს, იმისდა მიხედვით მაღლა ვართ თუ დაბლა. მოყვანილ სურათში პუნქტი «ა» არის 2 ნახ. კვეთის მანძილით დაბლა 12 «ით» აღნიშნულ პუნქტზედ მაში პუნქტი «ა» არის



2 მეტრის სიმაღლეზედ, თუ კვეთის მანძილი უდრის 4 მეტრს. თუ საძებნი იწოდიფსის სიმაღლე ახლოა რუქის რომელიმე ჩარჩოსთან მაშინ უნდა მოცემული ადგილიდგან თითით გაპავეთ. ამ იზოგითს ჩარჩამდის და იქ ეჭირება წვრილი რიცხვებით მისი სიმაღლე. უმრავლეს რუქებში, თუ კი იზოგიფსი აღწევს ჩარჩომდის იქ. სადაც ის ბოლოვდება, მისი სიმაღლის მაჩვენებელი რიცხვი სწერია. ხანდახან რუქაზედ შეგხვდებათ ხოლმე ღრმა ხეები, რომელებიც გარეგნულათ თითქოს წაგავენ ზურგს, რაღაც ორივენი იზოგის ხებით ისატებიან. მაგრამ ამ შემთხვევაში არის ხოლმე ისრით ნაჩვენები დაქანება.

რა მნიშვნელობა აქვს რუქის და დედამიწის
მხარეების შეფარდებას?

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ რუქა იმავე გამომეტყველებისაა როგორც თვით დედამიწა. რომ გინდ დაგიხსედნია რუქისთვის და გინდა აფრენილხარ ძალიან მაღლა, ვიდრე შენ მხედველობაში დედამიწაც რუქის დარენათ არ დაპატარავდება.

მფრინავი რომ პარიზ დასტრიიალებს თავზედ ის ყველა საგანს ისე პერდას, როგორც არის, და თითით შეუძლია დაგვანახეოს თუ საით რა ქალაქი, თუ სოფელი მოსჩანს, ეს შესაძლებელია რუქიდგანაც, ოღონდ ამისთვის საჭიროა, რომ იგი შესაფერისათ გევიროს ხელში. დედამიწა მთელი თავისი საგნებით ჩვენ დაკვირვებაში უძრავია და ყველა საგნებს ჩვენი დგომის ადგილიდგან თავისი მიმართულება აქვს: სამხრეთით, თუ ჩრდილოეთით ან სხვ. რუქისაც აქვს თავის მხარეები და, თუ ისინი შეუფარდეთ დედამიწის მხარეებს, გინდ პეროპლანიდგან გიჩვენებიათ თითით და გინდა რუქაზედ გითქვამთ: «მე რომ ამ წერტილზედ ვდგვევარ, მაში მეტლინი ჩემიღვან ამა და ამ მიმართულებით არის» ეს იმიტომ, რომ რუქისა და დედამიწის მხარეები წინასწარ შევაფარდეთ. (№ 8)

დედამიწის მხარეთა პოვნა.

რუქის მხარეები, რომ დედამიწისას შეუფარდოთ უნდა ვიკოდეთ: თუ სად აქვს რუქას მხარეები და თან შეგვეძლოს სინამდვილეშიც მათი პოვნა.

თუ რუქას დაიჭიროთ ისე რომ ასოები მარცხნიდგან მარჯვნივ, მიღიან მაშინაც მაღლა იქნება ჩრდილოეთი—დაბლა სამხრეთი, მარჯვნივ აღმოსავლეთი და მარცხნივ დასავლეთი.

დედამიწის მხარეთა პოვნის საშუალება მრავალგვარია, და ხდება ხელოვნურ და ბუნებრივ მოვლენათა დაზმარებით.

ვიცით რომ ქრისტიანები მიცვალებულებს თავით დასავალეთისაკენ ასაფლავებენ. ეკლესიას საკურთხეველი აღმოსავლეთით აქვს; კათოლიკების ეკლესიებს მთავარი გუმბათი და სამრეკლო დასავლეთით აქვს, ამ ნიშნების საშვალებით თქვენ იპოვით დედამიწის ერთ-ერთ მხარეს, ამის შემდეგ დანარჩენის გაგება ადვილია.

ბუნების მოვლენათა საშუალებით მხარეებს შემდეგნაირათ ეპოულობთ.

1. ხევსის, ან განმარტოებულათ მდგომი ხის საშუალებით.
2. ვარსკვლავების საშუალებით.
3. მზისა და საათის.
4. მაგნეტიურის ისრის.

1) ყველა ბებერი ხე, ან ხანგრძლივ უძრავათ მყოფი ღიდი ქვე ხავს იყიდებს ჩრდილოეთის მხრიდვან, რაღაც ნაკლებათ ხვდება მზის სხივი. ავრეთვე, თუ განმარტოებულათ მდგომარე ხეს (№ 9) დაკირცხებით დავაქცერდით შევამჩნევთ, რომ სამხრეთისკენ უფრო განხედ გაღდმული ხშირი და მომსხო ტოტები აქვს და ფოთლებიც ხშირი. გადანაცემ ხის (№ 10) ჯირკეშედაც წლოვანების მაჩვენებელი სალტები ცენტრიდგან სამხრეთისკენ უფრო განიკრია.

2) ვარსკვლავების საშუალებით მხარეები ასე იპოვება: უნდა მონახო პატარა დათვი» (ვარსკვლავთა გუნდი) იპოვო მისი ორი უკანა ვარსკვლავი და მის გაგრძელებაზე უფრო მიღენ მანძილზედ რაც ამ ორივე ვარსკვლავს შუა, (№ 11) გაქვსთ ჩრდილოეთის მაჩვენებელი ვარსკვლავი (ჩრდილოეთის ვარსკვლავი) თუ დასდევ პირით იმისენ წინაგაქს ჩრდილოეთი უკან სამხრეთი, მარჯვნივ აღმოსავლეთი და მარცხნივ დასავალეთი.

3) მზისა და საათის საშუალებით ასე იპოვება მხარეები: დატეტ საათი (№ 12) მიწაზედ. ან მაგიდაზე ისე, რომ საათის მაჩვენებელი პატარა ისარი მიმართული იყოს მზისაკენ; შემდეგ გაავლეთ ხაზი იმ კუთხის შუა, რომელიც მოთავსებულია 12 საათსა და ამ პატარა ისარის შუა ოღონდ თუ დილაა ილებ კუთხეს 12 საათის მარცხნივ, თუ ნაშუადევი 12-ის მარჯვნივ და ეს ხაზი მოგცემს სამხრეთის მიმართულებას, მაშინ მის გასწვრივ გექნებათ ჩრდილოეთი და ასე შემდეგ.

მაგნესი და მისი თვისებები.

ვიცით რომ ორი მაგნესი მოქმედებენ ერთი მეორეზედ ისე რომ თუ მათგან ერთი მსუბუქია მეორეს თავისკენ იტაცებს. ეს თვისება მრავალგვარ არის ესლა გამოყენებული. დიდ ფაზ-



რიცებში, მაგალითათ, მძიმე ლითონის ნამწერევები ხელითკი არ გადააქვთ, არამედ ისეთი უზარმაშარი მაგნესით, რომელიც მას ბურთივით აათამაშებს. თუ ჩვენ ავიღეთ და ერთი მაგნეს-თაგანი მოვათავსეთ ლერძნები ისე, რომ მას ტრიალი შეეძლოს და მივუახლოვეთ მეორე მაგნესს, ეს უკანასკნელი ჯერ ეცდება თავისკენ მიზიდვას მაგრამ რადგან პირველი ლერძნება ჩამოც-მული და მას ცერ მასცილდება, მიუტრიალდება მას მხოლოთ თავისი ერთი რომელიმე წვეტით და მუდამ იმ წვეტით. შემ-ნეულია, რომ დედამიწა სწორეთ ამ გვარათ მოქმედობს ლერ-ძნებ მოთავსებულ ყველა მაგნეტურ ისარჩევ და ერთი წვე-ტით მას მუდამ ერთი და იმავე მიმართულებით აყნებს და ეს წვერები მიმართულია ჩრდილოეთისაკენ. აი ეს მოვლენაა გამოყენებული კომპასში. და ამ საშუალებით იგი უტყუაროთ გვიჩვენებს მხარეებს.

დ ე კ ლ ი ნ ა ც ი ა .

ალსანიშვნაერი ოლონდ ერთი რამ: სხვადასხვა ალაგას ეს ისარი ცოტაოლნათ არის ხოლმე ნამდვილი ჩრდილოეთის მი-მართულებითგან გადახრილი, ე. ი. ცოტაოლნათ ტყუის, მაგ-რამ ეს ისე ცოტაშეცდომაა, რომ სშიჩათ უყურადღებოთ შე-იძლება დატოვება. მაგრამ თუ გინდა, მეტი სისწორით იპო-ვოთ მხარეები მაშინ თუ ისარი ტყუის მარჯვნისკენ თქვენ ის გაქვთ იმდენი გრადუსითვე მარჯვნივ და წინაუკმოთ. ოლონდ უნდა იცოდე, თუ ამ ალაგას ეს გადახრილობა, რომელსაც სტეანირათ დეკლინაცია ეწოდება, რაოდენობისაა.

ამ შემთხვევაში (№ 13) ჩრდილოეთი გაქვთ იმდენით N-ზედ მარჯვნივ, რამდენადაც ისარი ტყუის მარცხნივ.

აქ კი (№ 14) იმდენათ მარცხნივ N-ზედ, რამდენადაც ის ტყუის მარცხნივ.

კომპასი და მისი მოხმარება.

მაშ, კომპასის საშუალებით შეგვიძლოა:

1) ვიპოვოთ დედამიწის მხარეები. ამისთვის საჭიროა მხო-ლოთ დაეხედოთ, თუ საით არის მიმართული მისი შევი წვერი.

2) შევათანხმოთ რუქის და დედამიწის მხარეები. ამისთვის უნდა დააღით კომპასი რუქას რომელიც მაგიდაზედ ან მიწაზედ გიღევთ (№ 15) ისე, რომ ასო «N»-მა და ასო «S» დაპირისნობ რუ-ქის ჩარჩოს მარჯვენა, ან მარცხენა მხარე და ასო N მიმართუ-ლი იყოს იქით საითაც რუქის ჩრდილოეთია. შემდეგ (№ 16) ფრთხილათ რუქა კომპასიანათ უნდა ატრიალოთ იქამდე, ვიდ-რე ასო N-ს თავზედ არ წარმოაღება ისარი შავი წვეტით. აქევ

შეგიძლიათ სახეში მიიღოთ დეკლინაციაც. ამ მოქმედებას პქვია რუქის და დედამიწის მხარეთა შეფარდება და ეს საჭიროა ყოველთვის, როდესაც რუქით ესარგებლობთ. წინააღმდეგ შემთხვევაში რუქა შეიძლება გვეციროს ყირამალა და ნაცვლათ სასურველი მიმართულებისა ვიაროთ სრულიათ წინააღმდეგ მიმართულებით. ეს თითქოს პატარა საქმე სინამდვილეში დიდ მნიშვნელობას დებულობს და ხშირათ მიზეზათ ხდება იმისა. რომ ნაცვლათ დანიშნულ ადგილზე დროხე მისვლისა და დასვენებისა დადედალამე ივლით, დაიქანცებით, და ადგილზეც უერ მისვალთ.

რუქის და დედამიწის მხარეთა შეფარდება
დაფარულობის მიხედვით.

არის კიდევ სხვა საშუალებაც რუქის და დედამიწის მხარეთა შეფარდებისა: ეს ფაფარულობის საშუალებით, რადგან მიმართულებები რუქასა და სინამდვილეში შეფარდებულია, თუ თქვენ ჯერ რუქაზე იპოვნით თქვენი დგომის აღილს და შემდეგ ორ ისეთ პუნკტს რომლებიც ქარტაზეც არის და სინამდვილეშიც სჩანან, ამის შემდეგ, რუქას ატრიალებთ მაწაზედ, სანამ: თქვენი დგომის წერტილიდგან ამ პუნკტებამდის მიმართულებები რუქასა და სინამდვილეში ერთმანეთს არ შეუეცებიან. მაშინ ყველა სხვა დანირჩნ საგანთა მიმართულება სინამდვილეშიაც იგივეა რაც რუქაზე და ის შეგიძლიათ ხელით აჩვენოთ. (№ 17)

რა არის მიმართულების კუთხე?

კომპასის საშუალებით შეიძლება აკრეთვე მიმართულების კუთხის პოვნა და ამ მიმართულებით სცლა. ეიდრე აწერ-დე თუ რანირათ ხდება, ეს ჯერ განკმარტავ თუ რისთვის არის საჭირო და რა არის ეს მიმართულების კუთხე. მიმართულების კუთხე არის ის კუთხე, რომელიც იმყოფება მაგნესის შავი წვერის მიმართულებასა და იმ ხაზის შორის, რომელიც ახრთებს დგომის აღვილს იმ საგანთან რომლის კუთხესაც ეძებთ, მაგალითად (№ 18), თუ მე ვდგევარ პუნკტ «ა»-ზედ და ვეძებ კუთხეს პუნკტ «ბ»-მდის ეს იქნება კუთხე გ. ამ საშუალებით გადავდიგართ, ალაგიდგან ალაგზედ. თუ გვინდა დრო არ დაკარგოთ და არც გზა აგვებნეს, გვტყვიან ამა და ამ ალაგიდგან წალით ამა და ამ კუთხით 2. თუ ათი ვერსი და სასურველ ალაგს მიახწევთ. თუ იცით კომპასის მოხმარება შეგიძლიათ მას გამყვეთ და თვითონ მიგიყვანს.

მიმართულების კუთხეების პოვნა რუქასა და სინამდვილეში.

არის სამი შემთხვევა, როდესაც დაგჭირდებათ მიმართულების კუთხის პოვნა:

1) გითხრეს ამა და ამკუთხით იარე ამ წერტილიდგან ამდენი და ამდენი კერძით (ხშირად ლამეში).

2) დევებართ რომელიმე მთის მწყერვალზე და ჰედავთ იმ ადგილს, სადაც მიღიხართ, მაგრამ ჩახვალთ თუ არა დაბლა სხვა პატარა გორაყი ან ტყე ამოგეფარებათ და დაცვარგავთ მიმართულებას, თუ მიმართულების კუთხე არ დააყენეთ მწვერვალზე.

3) ვერ ხდავთ იმ წერტილს, სადაც მიღიხართ, მაგრამ გაქვთ რუქა, სადაც მთელი მიღამო გიხატიათ და შევიძლიათ იმაზე იპოვოთ თქვენი მიმართულების კუთხე, თუ რა თქმა უნდა, იყოთ სად მიღიხართ.

ავხსნათ ყველა ეს შემთხვევები რიგ-რიგათ. მიგიყვანათ უფროსმა ჯაგებთან, სადაც რიცხვი I სწერია (სურათი № 19) და გითხრათ: «წარი, მიმართულების კუთხე 60-ით და ოთხი კერძის იქით იციდის კაცი. რომელსაც ეს მოხსენება ჩააბარეთ.» ესლა რას აკეთებთ თქვენ? ილებთ ჯიბილგან კომპასს, იწერთ ოთხ თითში ისეთ რომ ასო «N» (ან და ციფრი O) იყოს თქვენგან გარეთ და ტრიკალობით იქამდის. ვიდრე შევი ისარი გაჩერდება მოცემულ რიცხვზე, ამ შემთხვევაში 60-ზედ. ღრმა გამოშევებით გაიმური ხოლმე ეს ვიდრე აღგილზედ არ მიაღწევდე. თუ უზრავდებით მოიქცევით ისე მიხვალთ აღგილზედ, რომ თქვენვე გაგიკვირდებათ. თუ სდგხარ ისეთ აღგილას, საიდანაც ხედავ რაიმე საგანს, რომლისაკენაც გინდა დაიხსომო მიმართულების პუნქტი. უნდა მსგავსაოვე დაიკირო რო ათხ თითში კომპასი ასო N-ით გარეთ და მიუშვირო ამ ასოთი იმ საგანს, რომლისაკენაც კუთხეს ეძებ. შევი წერით ისარი თვით გაჩერდება რომელიმე რიცხვზე, რომელიც არის საძებნი კუთხე. და ესლა, ამოგეფარება თუ არა რაიმე თვალთაგან. ან თუ ლამე წახვალ იმ საგანამდის უნდა მოიქცე ისე, როგორც აწერილი იყო ზევით, როდესაც გვაძეს კუთხე.

მესამე შემთხვევაში (№ 20), როდესაც რუქაზე ეძებ მიმართულების კუთხეს წერტილ „ა“ დგან „ბ“ დის ჯერ უნდა რუქისა და დეტამიშის მხარეები შეაფარდო, შემდევ იპოვო რუქაზე ის აღგილი, სადაც სდგხარ და ის, სადაც მიღიხარ. შეაწერთ ეს რარი წერტილი სწორი ხაზით, შემდევ დაადო კომპასი ამ ხაზზე ისე, რომ ასო «N» მიმართული იყოს იმ წერტი-

ლისკენ საითენაციურთხეს ეძებ. მაშინ ისარი შავი წვეტით გა-
ჩერდება იმ რიცხვზე, რომელიც უღრის საძებნ კუთხეს.

ბეჭარდი და მისი მოხმარება

ეს ზემო აღნიშნული კომპასი არის ყველაზე უბრალო და
ადვლი მოსახმარი. არის კიდევ სხვა რამდენიმე, რომელთაგან
ავწერ «ბეჭარდს», რომელიც ერთი უსრულესთაგანია. (№ 21).

იგი წარმოადგენს ალუმინის ყუთს ქუსლის ფორმისას-
აქვს სახურავი და ძირი. სახურავში ორივე გვერდიდგან ამო-
ჭრილია ორი მოგრძელ ფარდიათი. შიგნიდგან მიკრულია მო-
წრდილი თეთრი ისარი. გარედაგან ძირის მხრივ აქვს დახატუ-
ლი სანტიმეტრები. სახურავის აწევისას ეხედავთ სარკეს. რო-
მლის შუაგულში (იქ სადაც ძირთან არის მიმაგრებული) მო-
თავსებულია პატარა ნემსიერი ისარი. ძირზედ დამაგრებუ-
ლია მოძრავათ ფარი. რომელიც დახურულია შუშით. შუშა-
ზე დახატულია 360 პატარა ხაზი. რომელიც მთელ წრეს ჰყოფს
ამდენივე გრადუსებათ. ამ პატარა ხაზებს აწერია რიცხვები,
რომელიც მარჯვნიდგან მარცხნით იჩრდებიან. შუშის შუა-
ზედ გადაღის წარწერა «Patent Bezarde», და ფოსფორის რეკ-
ლი. შუშის ქვეშ ლერწერებ მოძრავათ ჩამოცმულია ისარი. რო-
მლის ორივე ბოლო ფოსფორით არის წაცემული, ოღონდ
ერთი მხრივ მრგვალიათ და მეორეს მხრივ (წვეტიანათ) შუბუ.
რათ. ამ ბეჭარდის მოხმარებაც იგივეა რაც კომპასის. ე. ი. შე-
გიძლიათ:

- 1) შეათანაბროთ რუქისა და დედამიწის მხარეები,
- 2) იპოვოთ ჩრდილოეთი.
- 3) იპოვოთ მიმართულების კუთხე რამე საჭნამდის, რო-
მელსაც დროებით ჰქედავთ.
- 4) იპოვოთ მიმართულების კუთხე რუქაზე არ წერტილ
შუა და
- 5) წახვიდეთ იმ კუთხით, რომლითაც გიბრძანეს.

არის კიდევ სხვა გვარი მოხმარებაც, მაგრამ ამას არ შევე-
ხები, რომ საგანი არ დაშინდეს.

- 1) რომ შეათანხმო რუქის და დედამიწის მხარეები უნდა
შემოატრიალო მოძრავი ფარი გიდრე სარკესთან რომ პატა-
რა ნემსია. ის არ გიჩვენებს რიცხვებს «0», ან ნოლიდგან იმდენით
მარჯვნივ თუ მარცხნივ. რამდენიც დეკლინაციაა. შემდეგ სა-
ხურავ ახდილი ბეჭარდი ძირის სწორი გერდით უხდა მიადო
რუქის ჩარჩოს მხარეს და შემდეგ ატრიალო რუქა და ბეჭარ-
დი ერთად, ეიდრე ისრის მრგვალი მხარე ქვეშ აო აშოუდგება
შუშაზე გამოხატულ ფოსფორის რეოლს.

2) თუ გინდათ ბეზარდი დედამიწის მხარეები იპოვოთ, დახედეთ თუ საით არის ისრის წვეტიანი მხარე და ნაპოვნი გაქვთ მხარეები.

3) თუ გინდა იპოვო კუთხე, რომელიმე საგნამდის, რომელ-საც ჰქედავ, უნდა დაიჭირო ბეზარდი ოთხ თითში, (№ 22) ფა-რლიათებით თვალის სიმაღლეზე და ფარის ისრის წვერით საძებნი საგნისაყვნ. შემდეგ თვალური აღევნო. რომ ფარლია-თებში მუდამ ჰქედავდე მოცემულ საგანს და თან მარცხნა ხელით უნდა ატრიალო ფარი იქამდის, კიდრე ისრის დამრგვა-ლებული ნაწილი და შემის მრგვალი ბადე ერთომანეთს არ დაფარავდეს. ანას შენ სარკეში ჰქედავ და არა გვირია თავის დაბლა დახრა. როდესაც გააკეთე ყველაფერი ეს სარკის ნემს-თან თეთი გაჩერდა რიცხვზე, რომელიც არის სწორედ შენ მი-ერ ნაძებნი კუთხე.

4) რომ იპოვო მიმართულების კუთხე რუქაზე (№ 23) უნ-და გაშალო რუქა, იპოვო იმაზე ორივე წერტილი. შეართო ისინი სწორი ხაზით, დაადო ბეზარდი ძირის სწორი გვერდით ისე, რომ ფარის ისრის წვერი გიჩვენებდეს მიმართულების, სა-ითაც აპირებ წასელას. შემდეგ ატრიალე ბეზარდის ფარი კი-დრე წარწერა «პატენტ ბეზარდი», რომლიც ფარის შეაზე არ დადგება ისე, როგორც რუქის ყველა წარწერები. ე. ი. მარცხ-ნიდვან მარჯვნივ. მაშინ სარკის ნემსის ძირის დგას კუთხის მაჩვენებელი რიცხვი

5) როდესაც გეტყვიან—წადი ამა და ამ კუთხით ამდენი კერსიო, ჯერ უნდა დააყენო ეს კუთხე ე. ი. იქამდის უნდა ატ-რიალო ფარი კიდრე სარკის ნემსთან დადგება მოცემული რი-ცხი, შემდეგ უნდა დაიჭირო ოთხ თითში თვალების სიმაღ-ლეზე. უყურო აწეულ სარკეში და იტრიალო იქამდის. კიდრე ისრის რგოლიაზ დადგება შუმის რგოლის ქვეშ. მაშენინ გაი-ხედე ვარილითებში და წადი იქით, რასაც შიგ ხედავ. თუ ლამე წადი იმ მიმართულებით, საითაც ფარის დიდი ისარია გაშვე-რილი, ან და უბრალოთ ფარის ქედის მიმართულებით, ოლონდ არ დაგავიწყდეს, რომ ბეზარდის ჟერისას ფარის ისრის წვე-ტი შეგნითვან გარეთ უნდა იყოს მიმართული და არა შენსკენ, თორემ წინაუკმოთ, წახვალ და, ნაცვლათ დაახლოვებისა, სა-განს დაშორდები.

ხაზვათა გვარები.

სამხედრო სამსახური ყველა უფროსისაგან მოითხოვს რომ იცოდეს ჩერი და ზედმიწევნითი გამოხატვა რაიმე შექმნილი პირობის ამა თუ იმ ზედაპირზედ. ამას სხვანაირათ ხაზვა ეწო-

დება. ხაზეა სსეადასხვანაირი შეიძლება იყოს; წერტილიდგან, ჯვარედინული მეთოდით, თვალდაფალ და სამგზავრო.

ხაზეა წერტილიდგან.

წერტილიდგან ასე იხაზება. უნდა აიღო ქალალდი დასწერო თუ რას პხატავ, რომელ საათზე დაიწყე ხატვა და, რა მაშტაბში ხატავ. შემდევ უნდა დასდო ქალალდი ვაკე ადგილას, ან რაიმე სიბრტყეშედ და დაასო წერტილი, რომელიც იქნება ის პუნქტი, სადაც სდგეხარ. შემდევ, გამონახვ ზედაპირზედ, ცოტა მოშორებით რაიმე საგანი, რომელიც მკაფიოდ მოსჩანს და გავალე ხაზი სახაზავის საშუალებით იმ მიმართულებით, საითაც ის საგანია. მუდამ თვალყური უნდა ადევნო და შეამოწმო, რომ ეს ხაზი თავის მიმართულებიდგან მარჯვნივ არ გადაიხაროს. იტრიიალე მერე შენი ქალალდის ირგვლივ ისე, რომ ის არ განძმრიო და ყველა საგნების მიმართულებით, რომლებსაც კი ირგვლივ პხედავ, გახაზე წვრილი ხაზები და დაიხსომე, თუ რა ხაზი რა მიმართულებითა გაქვს. შემდევ როდესაც ყველა მიმართულება აღნიშნე, უნდა გამოხომო ეხლა თუ იმ საგნებამდის რომლების მიმართულებაც გაქვს შენი საღვამიდან რა მაშტაბისაა, რომ პირობითი ნიშნების საშუალებით ყველანი თავთავის ადგილზე ხახატო.

ხაზეა ჯვარედინული მეთოდით.

ჯვარედინული მეთოდით ხაზეა მოგომარეობს შემდევში. უნდა ამოირჩიო მოხერხებული ვაკე ადგილი, საიდანაც შორს პხედავ გარემოს. მაგალითათ, გზის ნაკვეთი «ა.—ბ.» (№ 24), აწერს ქალალზე დედამიწის მხარეთა მიმართულებას, მაშტაბს და პუნქტ «ა.—ბან უმისნებ ყველა საგნებს, რომლებსაც კი პხედავ და პხაზავ მათ მიმართულებით წვრილათ ხაზებს, ისსომებ, თუ ეს ხაზები რა საგნებისკენ არიან მიმართულნი, შემდევ გადაიხარ პუნქტ «ბ.—ზე და იქცევი მხგავსათვე. მაშინ ამ ხაზების გადაჯვარედინებას წერტილები გაძლიერენ «ბ.—თან შესაფერისი საგნის ადგილის ნახაზნედ. პხატავ მათ მიღებული ნიშნებით და ნახაზი მხატ არის. შეკიდლია მერე ხაზები ამომშალო.

ხაზეა თვალდაფალ.

თვალდაფალ ასე იხაზება. პყოფ თოხკუთხ ქალალდს გარდიგარდმო და ირიბი ხაზებით 8 თანაბარ სამკუთხედათ. პყოფ ამ ხაზებს სანტიმეტრებათ. აღნიშნავ ჩრდილოეთის მიმართულებას, მაშტაბს. შემდევ პტრიიალებ ამ ქალალდის ირგვლივ

ისე რომ მხარეთა შეფარდება არ დაარღვიო და მაშტაბით ხა-
ტავ ყველაფერს რაც ამ ხახების მიმართულებით და სამკუთ-
ხედებშია, გაძიგვა ნახაზი თვალდათვალი. (№ 25).

სამგხაერო ნახაზი წარმოადგენს. ნახაზს რომელშიაც და-
წვრილებით არის გადალებული გზა, რომელიც ჩვენ გვაინტე-
რესებს, და ზერელოთ მის ირგვლივ მდებარე საგნები. ასეთი
ნახაზი უნდა მიეცეს ყველა უფროს თუ შეირიკს, რომელსაც
რაიმე დაევალა, და გზა არ იცის და არც რუქა გვაძვს დაახ-
ლოვებით ის ასეთი გამოხატულებისაა.

განიერ და გაუვალ მდინარეთა ზომვა.

ხშირათ ხაზების დროს დაგვჭირდება გამოვიცნოთ ისეთი
საგნების სიგანე რომელების ნაბიჯით განომვა მოუხერხებე-
ლია, მაგალითათ, ლიმა მოხრევილი ხევები, ან დიდი მდინა-
რები, თუ ტბები? არის რამდენიმე საშუალება ამის:

- 1) ქუდის ჩამოფხატვის საშუალებით.
- 2) გაუმიზულ ხელში რაიმე ნივთის დაჭრის საშუალებით.
- 3) სამკუთხედის საშუალებით.

ქუდის ჩამოფხატვით ასე იზომვა: დადექი მდინარის პი-
რას ისე, რომ ზურგით ვაჟე ადგილი გქონდეს, გაპხედე მდინა-
რის მეორე ნაპირს და იქამდის იტხარე თვალებზე ქუდი ვიდ-
რე ნაპირის გარდა ყველაფერი დაგიფაროს, მოტრიალდი ზუ-
რგისკენ და დაიხსომე სადამდის ხედავ ვაკენედ. გადაზომე ეს
ნაბიჯებით და მიიღებ მდინარის სიგანეს.

მეორე საშუალება. დაიჭირე ხელში რაიმე ჩხირი დახუჭე
• მარცხენა თვალი, გავიმე ხელი და დაიხსომე რა საგნისკენ არ-
ის შენი ჩხირი მიმართული. შემდეგ ნუ გაანძრევ ხელს, გაალე
მარცხენა და დაუკე მარჯვენა თვალი და დაახლოებით შეა-
დასე რამდენით მარჯვენი გადიწია ჩხირმა. ეს თვალით შეფა-
სებული ზომა გააათეკეცე და მიიღებ მდინარის სიგანეს.

მესამე საშუალება. დადექ მდინარის პირას ისე, რომ შენ
პირდაპირ რაიმე ნიშნობლივი საგანი იმყოფებოდეს. შემდეგ
ამ ადგილიდგან მდინარის პირ-პირ წადი ჯერ 20 და შემდეგ
10 ნაბიჯი, მერმეთ შემოტრიალდი და წამოდი ამ ხაზის სწორი
კუთხით და იარე იქამდის ვიღრე გაუსწორდებოდე ხაზს. რო-
მელიც აერთებს მდინარის გადაღმა მყოფ საგანს და იმ ალაგს,
სადაც 20 ნაბიჯი გადაზომე. შემდეგ მანძილი უკანასკნელ და
მის წინამდებარე წერტილს შეა (—ბ—) გაამრავლე ორჩედ
და მიიღებ მდინარის სიგანეს. (№ 26)

రుష్కిస్ గాంగిడ్రెచ్.

ఈ గిందా రుష్కిస్ గాంగిడ్రెచ్, ఉన్డా మింపు శ్వేమద్రోగ్నాంహాత. అందు రుష్కిస్ దా డాయాగ్ పొర్టార్-పొర్టార్లా స్థిరాల ఉత్కృష్టత్వాఫ్రేధాత. శ్వేమద్రోగ్, అందు స్థాపితా కాలాలాండి దా నీసిపు డాయాగ్ నిమిష్టానిప్పి ఉత్కృష్టాతాత. మాగ్రామ ఇస్ రుష్కాన్సాస్క్రెణ్లన్ని నిమిష్టానిప్పి ఉత్కృష్టాత డాయాగ్ దింద్రోగ్ శ్వేమద్రోగ్ నుండి, రామాంగ్నాండాప్ అంపింగ్ రుష్కిస్ గాంగిడ్రెచ్సాస్. శ్వేమద్రోగ్ అందా, దా రాప్ గింబార్లొ రుష్కిస్ పొర్టార్లా ఉత్కృష్టత్వాఫ్రేధాశ్మి, గాంగాంబార్లు క్షాలాలాండిస్ మింసిర్ఫాల్ ఉత్కృష్టత్వాఫ్రేధాశ్మి.

కింత్కుప్పు సాగ్వార్జిథిత.

1) రూ అందిస్ న్యేఫాపింగ్, దా రంగుంరి శ్వేమింప్పు ఇస్ న్యుస్. డా-ఫూర్ములాంపింగ్స్ దా మిమ్పుగానిలాంపింగ్స్ మింపేఱ్చిత. రూ అందిస్ క్షేణి, లైఫ్, నిమిష్ట్ ఇసిని రుష్కాన్చేఫ్?

2) రూ అందిస్ రుష్కిస్. గాన్స్ బెగ్గాప్పు మాశ్రీంపిస్ మింపేఱ్చిత రుష్కా-స్సా, గ్రెగ్గమిస్ దా నొంబెస్ శెర్హిలిస్. రానొంహాత అందిస్ మింతాప్స్ బెంబుల్లి చొల్పుంచ్చేఫ్ రుష్కాన్చేఫ్: సాఫ్ ఎంబ్ రుష్కిస్ కీర్తింపుంచ్చిత, సామ్భర్మితి. అంమించుంచ్చితి దా డాసాంబుంచ్చితి?

3) రూ అందిస్ మాశ్రీంపిస్. రంగుంరి మాశ్రీంపిస్ విప్రిత. రంగుంరి శ్వేమింపొ గాంచుమింత మాన్మిల్పి రుష్కాన్చేఫ్ మాశ్రీంపిస్ సాశ్రూ-లైఫ్పిత. గాంచుమ్మ రుష్కాన్చేఫ్ మాన్మిల్లి చ్చెర్లుంల్ ఎం-డాన్ ఎం-మింగ్స్?

4) రూ ఎంజ్యోన్ నొంబెస్, రంగుంరి సాశ్రూలైఫ్పితాప్ రుష్కాన్చేఫ్ నొంబెస్ డ్రెఫామించ్చిస్ ఉస్టింగ్రమిస్ట్రోంహించ్చా. గాంచుమ్మ సిమాల్లై రంగ్ మెంమించ్చెర్లుంల్సింగ్స్?

5) రూ సాశ్రూలైఫ్పి అంసెప్టంబ్స్ డ్రెఫామించ్చిస్ మొంగ్రేచ్తా సాపెం-గ్రెంగ్లాత. రూ మింపుల్లైన్చే డామ్పుంగ్రెంబుల్లి మాగ్నిట్రింగ్రి ఇసినిస్ బెంమింగ్స్; నిమిష్ట్ ఇంచ్చిత.

6) మిండ్స్ డ్రెఫామించ్చిస్ మొంగ్రేపి డ్రెంబాండిస్ సాశ్రూలైఫ్పిత; గాంమార్ట్ర్ మింసిం దా సాంకిస్ సాశ్రూలైఫ్పిత మొంగ్రేపిస్ తెంగ్నా?

7) రంగుంరి గ్లోబులైప్ డ్రెఫామించ్చిస్ మొంగ్రేపి వాంస్క్యులైప్పు-పిస్. డెంగ్రెపిస్ మింపుల్లైంగ్ సాశ్రూలైఫ్పిత?

8) రానొంహాత ఎంజ్యార్ఫ్రెచ్ రుష్కిసిం దా డ్రెఫామించ్చిస్ మొంగ్రేపి కుమించిసిం సాశ్రూలైఫ్పిత?

9) డాఫార్ములైపింగ్సి నొంగ్రెపిస్ ప్రంఫ్రెన్స్?

10) శ్వేఫార్మ్ డ్రెంబాండిస్ సాశ్రూలైఫ్పిత రుష్కిసిం దా డ్రెఫామి-ంచ్చిస్ మొంగ్రేపి; గాంచుమ్మ చ్చెర్లుంల్ క్షి-సి సిమాల్లై?

11) ఎంజ్యో శ్వేఫా తింరొ రుష్కింగ్రాన్; నిమిష్ట్ ఇంచ్చిత శ్వేమింప్పు-సి దా ఉమాల్లైసి ఏంగ్రిల్లి; ఎంజ్యో కుమించిసి

12) ఎంజ్యో డ్రెంబాండి. రూ అందిస్ మింబాంతులైఫ్పిస్ క్రూత్స్; నిమిష్ట్ కుమించిసిత మింబాంతులైఫ్పిస్ క్రూత్స్ కొంగ్రెస్ సాగ్నామింగ్సిం?

13) నిమిష్ట్ మింబాంతులైఫ్పిస్ క్రూత్స్ కుమించిసిత రుష్కాన్చేఫ్ ఒర-

წერტილს შეუ; იპოვე მიმართულების კუთხე ბეჭარდით სი-
ლულ საგნისკენ?

14) იპოვე რუქაზედ მიმართულების კუთხე ბეჭარდის სა-
შეალებით! მაჩვენე საით წახვალ კუთხე 100-ით, ბეჭარდის სა-
შეალებით იმ ადგილიდგან, სადაც სდგეხარ!

15) წალი კომპასის საშეალებით 15 ნაბიჯი კუთხე 25-ით.
გააკეთო იგივე ბეჭარდით კუთხე 125-ით.

16) გაზომე ნაპირიდგან გაუვალი წყლის სიგანე.

17) შეაფარდე რუქისა და დედამიწის მხარეები დაფარუ-
ლობის საშეალებით. იპოვე რუქაზედ საღა სდგეხარ.

18) იპოვე რუქაზედ, სად განწყობი თუ წერტილ X-დან წა-
ხვალ 1 კ-მეტრ კუთხე 100-ით, შემდეგ 2 კ-მა კუთხე 200-ით.
შემდეგ 1 კ-მეტრი კუთხე 300.

19) მოიმოქმედე იგივე ბეჭარდით სხვა წერტილიდგან.

20) გააკეთო იგივე სინამდვილეში მიწაზედ შემოკლებულ
მანძილებზედ. მაგ. 10 ნაბიჯი კუველა კუთხით, ბეჭარდისა და
კომპასით.

21) გააღიდე რუქა.

22) როგორ კეთდება ნახაზი წერტილიდგან. მაჩვენე შენი
ასეთი ნახატები.

23) როგორ კეთდება ნახაზი გაღაჯვარედინების საშეალე-
ბით; მაჩვენე შენი ასეთი ნახაზი.

24) როგორ კეთდება ნახაზი თვალდათვალ. მაჩვენე ასეთი
ნახაზები.

